



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი შემაჯამებელი ანგარიში

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ბეჭდური მედიის მონიტორინგის ძირითადი შედეგები	4
გაზეთი „რეზონანსი“	5
გაზეთი „ახალი თაობა“	7
გაზეთი „ასავალ-დასავალი“	9
გაზეთი „კვირის პალიტრა“	12
გაზეთი „ქრონიკა +“	14
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“	15
გაზეთი „ალია“	17
გაზეთი „გურია News“ (ქ.ოზურგეთი).....	19
გაზეთი „ჰო და არა“ (ქ. ლანჩხუთი).....	21
გაზეთი „ალიონი“ (ქ. ოზურგეთი)	22
გაზეთი „ჩემი ხარაგაული“	24

პროექტის შესახებ

„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ბეჭდურ მედიას აკვირდებოდა.

მონიტორინგი 2021 წლის 5 ივლისს დაიწყო და 14 ნოემბერს დასრულდა - მოიცავდა როგორც წინასაარჩევნო, არჩევნების პირველი (2 ოქტომბერი) და მეორე (30 ოქტომბერი) ტურის, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდებს.

დაკვირვება ხორციელდებოდა 11 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“, „საქართველო და მსოფლიო“, „გურია news“, „ალიონი“, „პო და არა“, „ჩემი ხარაგაული“.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბეჭდური მედიის მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების აქტივობების გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა და ა.შ.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობდნენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე იყვნენ: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრეზიდენტი, ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ პოლიტიკურ თემებზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

ანგარიში მოიცავს 5 ივლისიდან 14 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგის შედეგებს.

5 ივლისი - 14 ნოემბრის პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი შედეგები გამოავლინა:

- ბეჭდური მედიის უმეტესი ნაწილი კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას - ისინი არ ცდილობენ მკითხველს ხარისხიანი და სანდო ინფორმაცია მიაწოდონ. ზოგიერთი გაზეთი დაუბალანსებელი და ტენდენციურია და, ხშირ შემთხვევაში, ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ სტატიებს სთავაზობს მკითხველს, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას არ იძლევა. დაუბალანსებელი, მიკერძოებული და ცალმხრივი იყო არა მხოლოდ ცალკეული სტატიები, არამედ მთლიანად გამოცემები. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად საკმარისი არ არის მკითხველი მხოლოდ ერთ გაზეთს გაეცნოს;
- ზოგიერთ გაზეთში უხეშად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გამოცემების ნაწილი კვლავაც იყენებდა სიძულვილის ენას და ჰომოფობიურ ტერმინოლოგიას. თუმცა, გენდერული ნიშნით საფრთხის შემცველი გამონათქვამები, რომლებიც 2020 წლის მონიტორინგის დროს ჟურნალისტთა ტექსტებში ხშირად გვხვდებოდა, წელს თითქმის არ გამოვლენილა;
- გაზეთები, წინა წლების მსგავსად, კვლავაც აქტიურად აშუქებდნენ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. თუმცა, ბეჭდური გამოცემების უმრავლესობა მკითხველისთვის საარჩევნო პროცესების შესახებ სიდრმისეული და ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდებას ვერ ახერხებდა - გაზეთები ნაკლებად აშუქებდნენ როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობებს და საარჩევნო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი). ძირითადად, ქვეყნდებოდა კონკრეტულ აქტუალურ თემასა და მიმდინარე პროცესებზე პოლიტიკოსთა განცხადებები და მოსაზრებები, აქცენტი ასევე კეთდებოდა პარტიების დაპირისპირებებზე. მონიტორინგის ბოლოს კი ყველა თემა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების თემამ გადაფარა;
- გაზეთების ნაწილის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად, წლების მანძილზე, გადაუმოწმებელი, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება რჩება. ჟურნალისტები დასაბუთებისა და მტკიცებულებების გარეშე ხელისუფლების და პოლიტიკოსების მიმართ მძიმე ბრალდებების წაყენებას არ ერიდებოდნენ. ხშირ შემთხვევაში, მათი მსჯელობა სუბიექტურ მოსაზრებებს ემყარებოდა და რაიმე სახის ფაქტობრივი მასალით გამყარებული არ იყო. გადამოწმების გარეშე შუქდებოდა რესპონდენტთა მძიმე ბრალდების შემცველი განცხადებებიც - ჟურნალისტებს უჭვი არ შეჰქონდათ მათი ნათქვამის სისწორეში და დამატებითი კითხვებით ინფორმაციის სიზუსტის დადგენას ნაკლებად ცდილობენ. ამასთან, გაზეთის არც იმავე, ან მომდევნო ნომერში და, მით უმეტეს, იმავე სტატილაში კრიტიკის ობიექტის საპასუხო კომენტარი არ ქვეყნდებოდა;

- გაზეთების უმრავლესობაში შეიმჩნევა ინფორმაციის წყარო პოლიტიკოსებისა და განსაკუთრებით ექსპერტების სიმწირე - ერთი და იგივე ექსპერტები, ხშირ შემთხვევაში, შეფასებებს თითქმის ყველა საკითხზე აკეთებდნენ. უმჯობესი იქნება გაზეთმა, თუნდაც პოლიტიკოსთა ამა თუ იმ კონკრეტულ წინასაარჩევნო დაპირებასთან დაკავშირებით, მკითხველს დარგის სპეციალისტების მოსაზრებები გააცნოს. ბეჭდური მედიის ერთ-ერთ გამოწვევად ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალებიც რჩება - ჟურნალისტები არ ცდილობდნენ „სანდო წყაროებისგან“ მიღებული ინფორმაციის სისწორის დადგენას;
- ზოგიერთ გამოცემაში პრობლემად რჩება პოლიტიკოსთა - როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების, მისამართით ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენება. მსგავსი ტერმინები ხშირად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებშიც, თუმცა ჟურნალისტები მათგან გამიჯვნას არ ცდილობდნენ. ზოგ შემთხვევაში, რესპონდენტთა შეურაცხმყოფელი განცხადებები სტატიის სათაურშიც იყო გამოტანილი;
- რეგიონული გამოცემები მთლიანობაში დაბალანსებულია, არ გვხვდება შეურაცხმყოფელი, არაეთიკური ტერმინოლოგია და ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები; სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. გაზეთები ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო აქტივობები, მერობის კანდიდატების ხედვები თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა. თუმცა, ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი თავი დადებითად წარმოეჩინათ. რეგიონული გამოცემები წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესებთან ერთად დიდ ადგილს უთმობდნენ რეგიონის/ქალაქის/სოფლის მოსახლეობისთვის აქტუალურ სოციალურ-ეკონომიკურ თუ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, სხვადასხვა სოციალურ საკითხებს, სოფლის მეურნეობასა და აგროტურიზმთან დაკავშირებულ თემებს, რომელთა გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების და ოპოზიციის, ასევე მოსახლეობის კომენტარები. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობებისა და პროექტების გაშუქების დროს ჟურნალისტების კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე ხელისუფლება, ძირითადად, ნეიტრალურად და დადებითად წარმოჩინდებოდა;

გაზეთი „რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - პოლიტიკურთან ერთად შუქდებოდა ეკონომიკური, სოციალური თემები, მკითხველისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხები. თუმცა, ოქტომბერ-ნოემბერში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებამ მეტ-ნაკლებად ყველა თემა გადაფარა - მასზე ჯამში გაშუქებული თემების 16%

მოდის. სააკაშვილის პატიმრობის თემასთან დაკავშირებული საკითხები მიუკერძოებლად, ყველა მხარის პოზიციის წარმოჩენით შუქდებოდა.

„რეზონანსს“ არჩევნებში მონაწილე პარტიების და კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, ხედვები და გეგმები არ გაუშუქებია, თუმცა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა მათ ცალკეულ აქტივობებზე მიეღო ინფორმაცია და მიმდინარე მოვლენებზე მათ მოსაზრებებს გაცნობოდა.

სტატიებში პოლიტიკოსების განსხვავებულ მოსაზრებებთან ერთად, ექსპერტების შეფასებები და ანალიზიც გვხვდებოდა. მათთან ინტერვიუებში ყველა აქტუალური პოლიტიკური მოვლენა ამომწურავად და მიუკერძოებლად შუქდებოდა, შეფასებული იყო საარჩევნო გარემო, კეთდებოდა პროგნოზები.


გაზეთში არ გვხვდებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობის ან გაურკვეველ, საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები. გაზეთი დაბალანსებულია, სტატიებში რომელიმე პოლიტიკური გუნდის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა - თანაბრად შუქდებოდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მოსაზრებები.

„რეზონანსმა“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად მთავრობა და „ქართული ოცნება“ გააშუქა (ჯამში 50%), 27% ერგოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს. სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისთვის დათმობილი ფართობი ბევრად ნაკლები იყო და 2%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტების გაშუქება (%)

გაზეთი "რეზონანსი"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021




სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ. პოლიტიკური სუბიექტების მიმართ მკვეთრად უარყოფითი განცხადებები იშვიათად, ისიც მხოლოდ ერთმანეთის მიმართ კრტიკულად განწყობილი პოლიტიკოსებისგან ან რესპონდენტებისგან ისმოდა. მაგალითად: „ხელისუფლებაში მხოლოდ ორი ადამიანია ვინც მუდამ უტიფრად და ცინიკურად გამოდიან საზოგადოების წინაშე. ესენი არიან პარტიის თავმჯდომარე კობახიძე და პრემიერი ღარიბაშვილი... ამგვარად, ხელისუფლება არის ცინიკური, თავხედური და ისე იქცევა როგორც საჭიროდ თვლის“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან, 10.11.21, გვ.6).

მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მაღალი (9%) დადებითი ტონი მთავრობას დაუგროვდა, რაც, დიდწილად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველდღიური აქტივობების გაშუქებამ გამოიწვია.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "რეზონანსი"
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „ახალი თაობა“

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა და თემების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა - პოლიტიკურის გარდა შუქდებოდა ეკონომიკური, სოციალური საკითხები და საზოგადოებისთვის აქტუალური სხვა თემები.

მონიტორინგის ბოლო პერიოდში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობამ (სულ გაშუქებული თემების 20%) ყველა სხვა თემა გადაფარა. თემასთან დაკავშირებული საკითხები (დაპატიმრება, შიმშილობა, ოპოზიციის მხარდასაჭერი აქციები) ვრცლად და მიუკერძოებლად შუქდებოდა. მკითხველს საშუალება ჰქონდა ექსპრეზიდენტის პატიმრობაზე პოლიტიკოსების, ექსპერტებისა თუ საზოგადოების წარმომადგენლების ინტერვიუებში განსხვავებულ მოსაზრებებს გაცნობოდა.


„ახალ თაობაში“ ქვეყანაში განვითარებული პროცესების შესახებ ინფორმაციის მიღება, ძირითადად, განსხვავებული პოზიციების მქონე რესპონდენტების ინტერვიუებიდან იყო შესაძლებელი, ნაკლებად გვხვდებოდა ანალიტიკური და სიღრმისეული სტატიები. გამოცემას არც პარტიების საარჩევნო პროგრამები გაუშუქებია. საარჩევნო თემებზე საუბარი, ძირითადად, ექსპერტებთან ინტერვიუებში ან პოლიტიკოსების ურთიერთბრალდებებში გვხვდებოდა.

გაზეთმა ყველაზე მეტი ფართობი „ქართულ ოცნებას“ და მთავრობას (ჯამში 33%) დაუთმო. მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი ფართობის 25% მიხეილ სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებაზე მოდის. არაპროპორციულად ნაკლები ადგილი, უმეტესწილად 2%-ზე ნაკლები, დაეთმოთ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს.

სუბიექტების გაშუქება (%)

გაზეთი "ახალია თაობა"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021




გამოცემა, წინა წლებთან შედარებით, მეტ-ნაკლებად დაბალანსდა, რადგან გაიზარდა „ქართული ოცნების“ წევრთა კომენტარების და ინტერვიუების რაოდენობა. თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობა მაინც ოპოზიციის წარმომადგენლები ან ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ექსპერტები იყვნენ, ამიტომ, ზოგჯერ, ცალკეულ ნომრებში ბალანსი კვლავ ოპოზიციის სასარგებლოდ იხრებოდა, თუმცა ჟურნალისტების მხრიდან არც ერთი სუბიექტის მიმართ მიკერძოების შემთხვევები არ გამოვლენილა.

წინა წელთან შედარებით, (როდესაც ყველაზე კრიტიკულად გაშუქებული სუბიექტი მხოლოდ მმართველი პარტია იყო) თითქმის ყველა სუბიექტის უარყოფითად გაშუქების წილმა მოიმატა, რაც ნაწილობრივ რესპონდენტების მრავალფეროვნებითაც აიხსნება. თუმცა, მონიტორინგის სუბიექტები, საშუალოდ, 68% მაინც ნეიტრალურად გაშუქდნენ, რადგან ჟურნალისტების ტექსტები და კითხვები ნაღვალად მწვავე და კრიტიკული იყო.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ასალი თაობა"
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ არ ერიდებოდა დაუსაბუთებელ მსჯელობას და შურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას. გამოცემაში მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. 2021 წელს, გასულ წელთან შედარებით, მოიმატა შურაცხმყოფელი შინაარსის ფოტოებმა. გაზეთი მოვლენებს ცალმხრივად აშუქებდა - დაუბალანსებელია არა მხოლოდ ცალკეული სტატიები, არამედ მთლიანად გამოცემა.


პერიოდულობიდან გამომდინარე, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ყველა მიმდინარე მოვლენას იშვიათად აშუქებდა. შესაბამისად, არც საარჩევნო კამპანია და პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები გაშუქებულა. თუმცა, ხშირად შუქდებოდა „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე - ქვეყნდებოდა ინტერვიუები მმართველ პარტიის წარმომადგენლებთან და ისეთ რესპონდენტებთან, რომლებიც მასზე დადებითად საუბრობდნენ.

„ასავალ-დასავალმა“ მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (41%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (21%) გააშუქა. მიხეილ სააკაშვილის დაკავების შემდეგ გაზეთის ნომრები თითქმის მთლიანად მას ეძღვნებოდა. ყოფილი პრეზიდენტის დაკავების თემამ გადაფარა ყველა სხვა თემა - ქვეყნდებოდა ინტერვიუები სააკაშვილის მმართველობის დროს დაზარალებულ მოქალაქეებთან და მათ ნათესავებთან,

ჟურნალისტები რესპონდენტებთან ერთად განიხილავდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან შედარებით ვრცლად გაშუქდნენ: „ქართული ოცნება“ (11%), „ლელო საქართველოსთვის“ (5%) და „გახარია საქართველოსთვის“ (3%). დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტების გაშუქება 1%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტების გაშუქება (%) გაზეთი "ასავალ-დასავალი" 5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქების ტონი, საშუალოდ, 65% უარყოფითი იყო. „ასავალ-დასავალი“ თითქმის ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. კრიტიკული, მწვავე და, ხშირ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი განცხადებები განსაკუთრებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (88%) და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (91%) მისამართით კეთდებოდა. მაგალითად: „ნათქვამია, ძალღივი ვინც მოკლა იმან უნდა გადაათრიოსო, ხოლო ძალღივი საკაშვილი ქართულ ციხეში ვინც შეათრია, შეაშავა და შეაბნელა, პასუხისმგებელიც სწორედ ის არის, რომ იქიდან დროზე ადრე არ გამოეთრეს, არ გამოშავდეს და არ გამობნელდეს!“ („შეაშავეს! შეათრიეს! შეაბნელეს!“, ჯაბა ხუბუა, 4-10.10.21 გვ. 2); „აი ასე უსახელოდ სრულდება ტრაილერით შემოპარული და აბსოლუტურად გაკოტრებული ფარჩაკი სააკაშვილის - განუბაჟებელი ტრაილეროვიჩის არაჟნის რეკლუცია.“ („არაჟნის რეკლუცია კრახი“, გიორგი გიგაური 25-31.21, გვ. 25).

გამოცემა განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას ასევე „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის, მამუკა ხაზარაძის მიმართ ინარჩუნებდა. სტატიებში ხშირად

გვხვდებოდა მისთვის წაყენებული სხვადასხვა ბრალდება და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები: „პატივცემულო მკითხველო, დიდი მკითხაობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ „მარად მოწმეში“ თაღლითებისა და გამომსახლებლების უსტაბაში, მეტუალეტეთა გილდიის ობერფიურერი მამუკა ხაზარაძე იგულისხმება“ („მარადი მოწმე“, 13-19.09.21, გვ.13, დიტო ჩუბინიძე).

პოლიტიკური სუბიექტების კრიტიკული გაშუქება, ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტების დაუსაბუთებელ მსჯელობას ეფუძნებოდა. გამოცემაში თითქმის არ გვხვდებოდა პოლიტიკოსების განცხადებები თუ მოსაზრებები. გაზეთი დიდ ფართობს უთმობდა ინტერვიუებს ისეთ რესპონდენტებთან, რომლებიც ოპოზიციში მყოფი პოლიტიკოსების მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდნენ. მძიმე, დაუსაბუთებელ ბრალდებებთან ერთად მათ ინტერვიუებში ხშირად გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამებიც, თუმცა ჟურნალისტები მათგან გამიჯვნას არ ცდილობდნენ.


„ასავალ-დასავალმა“ დადებით კონტექსტში მხოლოდ „ქართული ოცნება“ (18%) და მთავრობა (32%) გააშუქა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული განწყობაც შეინიშნებოდა. მაგალითად: „ოცნებავ, ნაცები ხელისუფლებაში ისედაც ვერასოდეს დაბრუნდებიან! მაგრამ თუ დროულად ხალხისკენ პირს არ იზამ, გამძვინვარებული და შენგან არაერთხელ დაღალატებული საზოგადოება შენც დაუნდობლად ჩაგრეცხავს, როგორც ნაცების მთავარ მფარველს და მოკავშირეს!“ „ოცნებავ, შენ ხალხს დამორღი და ხალხმაც პასუხად ზურგი გაქცია!“, ზაზა დავითაია, 11-17.10.21 გვ. 8).

მთავრობას გაშუქების მაღალი დადებითი ტონი, დიდწილად, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამო დაუგროვდა - მის მიმართ დადებით განწყობას რესპონდენტებთან ერთად ჟურნალისტებიც გამოხატავდნენ. მაგალითად: „საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ის ადამიანია, ვის სიტყვასაც ქართული ოცნების ძველ გვარდიაში ფასი ჯერ კიდევ შერჩენია და რომელსაც შეუძლია, 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიულ გამარჯვებაში წვლილის შემტან ქართველ პატრიოტთა მრავალრიცხოვანი არმია კვლავ გვერდით დაიყენოს! დიახ, ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია და ირაკლი ღარიბაშვილმა ეს უნდა გააკეთოს!“ („ოცნებავ, ახლა მაინც ისწავლე ჭკუა!“, ჯაბა ხუბუა, 4-10.10.21, გვ.3); გამოცემა პრემიერს განსაკუთრებით ევროკავშირის სესხზე უარის თქმის გადაწყვეტილებას უწონებდა: „საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს აღმოაჩნდა ძალა, ასეთი ფულისათვის ხელი ეკრა! საქართველოს მთავრობის მეთაურს ეყო პოლიტიკური სიმამაცე და პატრიოტული გამბედაობა, რომ გაეკეთებინა ის, რაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს არც ერთ ხელისუფლებასა და არც ერთ პირველ პირს არ გაუკეთებია - უარი თქვა ევროკავშირის 75-მილიონიან სესხზე, რომელსაც საგარეო ვალის სახით გვაძლევდნენ!“ („ქართველო ხელი ფულს უკარ!“, 6-12.09.21, გვ.2, ჯაბა ხუბუა).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „კვირის პალიტრა“


ყოველკვირეული გამოცემა „კვირის პალიტრა“ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა. წინა წელთან შედარებით მოიმატა პოლიტიკურ თემებზე მომზადებულმა მასალებმა და ინტერვიუებმა. გამოცემა სხვადასხვა პარტიის თბილისის მერობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან ინტერვიუებში აქტიურად აშუქებდა მათ წინასაარჩევნო დაპირებებსა და ხედვებს.

გაზეთი ინფორმაციის წყაროთა და რესპონდენტთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სხვადასხვა ექსპერტთან ინტერვიუებში განიხილებოდა ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, საზოგადოებისთვის აქტუალური თემები.

გაზეთი დაბალანსებული და მიუკერძოებელია - სტატიებსა და ინტერვიუებში ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა. ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ კითხვების დასმას და ცდილობდნენ საკითხები სხვადასხვა პოზიციიდან, სიღრმისეულად და კრიტიკულად გაეშუქებინათ.


„კვირის პალიტრა“ გაშუქებული თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თუმცა, მონიტორინგის ბოლოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობამ გადაფარა ყველა სხვა თემა. შესაბამისად, ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ჯამში 38%) გაშუქდნენ, 25% დაუგროვდა „ქართული ოცნებას“.

სუბიექტების გაშუქება (%) გაზეთი "კვირის პალიტრა" 5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



სუბიექტების გაშუქების, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. უარყოფით ტონს, უმეტესად, პოლიტიკოსთა ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული განცხადებები განაპირობებდა და არა ჟურნალისტების სუბიექტური მოსაზრებები. ყველაზე მაღალი უარყოფითი ტონი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს დაუგროვდათ. გაშუქებული თემების 24% ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს (დაკავება, შიმშილობა, ოპოზიციის მხარდასაჭერი აქციები) შეეხებოდა: იბეჭდებოდა სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში დაზარალებულებისა და გარდაცვლილთა ოჯახის წევრების და საზოგადოების წარმომადგენელთა ინტერვიუები: თამაზ მოლაშვილი: „რას იშინებდნენ, ისე თქვლევს საჭმელს, თან ღორბლი ჩამოსდის.“ 11.10.21, გვ. 10.; პოეტი დავით მალრადე: „მიშა საქართველოში არაქნის ტრაილერს შემოჰყვას და პოლიტიკურ სანაგვეზე ნაგვის მანქანა წაიღებს“ 18.10.21, გვ. 4.); ასევე ქვეყნდებოდა სტატიები, სადაც მისი მმართველობის პერიოდსა და საქართველოში ჩამოსვლის შესახებ იყო საუბარი.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "კვირის პალიტრა" 5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „ქრონიკა +“


ყოველკვირეული გაზეთი „ქრონიკა+“ პოლიტიკურ თემებს აქტიურად აშუქებდა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, გაშუქება ცალმხრივი და სუბიექტური იყო. გამოცემა დაუბალანსებელია - მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა განსხვავებულ მოსაზრებებს და სხვადასხვა კუთხით გაშუქებულ საკითხებს გაცნობოდა.

მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა+“-მა ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (20%), ექსპრესიული მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ჯამში 24%) გააშუქა. მონიტორინგის ბოლოს აქაც, ისევე როგორც სხვა გამოცემებში, სააკაშვილის დაპატიმრების თემამ ყველა სხვა თემა გადაფარა. მასზე მთლიანობაში გაშუქებულის თემების 16% მოდის.

სუბიექტების გაშუქება(%)

გაზეთი "ქრონიკა+"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021




„ქრონიკა+“ მმართველი გუნდის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. გაზეთში, ძირითადად, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა და სახელისუფლებო გუნდის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ექსპერტების ინტერვიუები ქვეყნდებოდა. თუმცა, სუბიექტების მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონი, არა მხოლოდ რესპონდენტების მწვავე შეფასებებს ემყარებოდა, არამედ ჟურნალისტების ტექსტებსაც, რომლებიც კრიტიკულთან ერთად მიკერძოებული და, ზოგჯერ, შეურაცხმყოფელიც იყო („კობახიძე და ღარიბაშვილი ხელისუფლება კი არა, ბანდაა“ 1.11.21, გვ.3; „ივანიშვილმა კობახიძის კლანი გააბანდა“ 4.10.21, გვ.15; „ოცნება ამბობს - მეც სისხლანი ვარო“ 27.09.21, გვ.3; „როგორ მოიპარა ოცნებამ არჩევნების მეორე ტური?“ 1.11.21, გვ.16; „რუსეთი ოცნების ხელით ცდილობს პატრიარქისთვის ბოლოს მოღებას“ 4.10.21, გვ.8, „ხელისუფლებას სურს სააკაშვილი ციხეში გარდაიცვალოს“ 11.10.21, გვ.12). სტატიებში მკაფიოდ ჩანდა ჟურნალისტების ნეგატიური

დამოკიდებულება მმართველი პარტიისა და მისი ყოფილი ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რის გამოც მათ უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაუგროვდათ.

გამოცემამ დადებითად, დიდწილად, მხოლოდ ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოაჩინა (მიმას გზა არტეკიდან ციხემდე“ 4.10.21, გვ.10-11; „ციხეში სააკაშვილის ადგილი არ არის“, 18.10.21, გვ.16; „წმინდა გიორგივით გამოჩნდა ადამიანი., რომელმაც თქვა, რომ მე მზად ვარ თავი გავწირო თქვენთვის“ 18.10.21, გვ.6; „საკაშვილმა ოცნება მორალურად გაანადგურა“, 4.10.21, გვ.7).

მონიტორინგის სხვა სუბიექტები, საშუალოდ, 82% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ.




გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“

ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ქვეყანაში განვითარებულ მთავარ პოლიტიკურ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. თუმცა, თემების გაშუქება, კვლავაც საერთაშორისო ჟრილში ხდებოდა. გამოცემა ინარჩუნებს პროორუსულ განწყობას. ჟურნალისტები და სტატიის ავტორი ექსპერტები აკრიტიკებდნენ ქვეყნის დასავლურ კურსს და ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ ანტიდასავლურ შეხედულებებს, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ უხეში ფორმითაც. გამოცემაში გვხვდებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობის, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები.

„საქართველო და მსოფლიომ“ ყველაზე მეტად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (ჯამში 48%) გააშუქა, მმართველ გუნდს მთლიანობაში 35% დაეთმო. გაშუქებული თემების 20% მიხეილ სააკაშვილის დაკავების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს შეეხებოდა.

სუბიექტების გაშუქება (%) გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" 5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი მონიტორინგის თითქმის ყველა სუბიექტის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი, მათი გაშუქება, საშუალოდ, 57% ნეგატიური კუთხით ხდებოდა. გამოცემა განსაკუთრებით კრიტიკული მიხეილ სააკაშვილის მიმართ იყო. ჟურნალისტები და რესპონდენტები არ ერიდებოდნენ არაეთიკურ გამოთქმებსაც: „რამდენ ადამიანს ჩაუვარდა კოვზი ნაცარში, როდესაც გაიგო, რომ მისი კერპი ექსპრეზიდენტი გმირის მანტიაში გახვეული მოშიმშილე კი არა, ფაფიჭამია და კიდეც, ვინ იცის, რისი ჭამია ერთი ჩვეულებრივი დამნაშავეა“ („როცა „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“, დარეჯან ანდრიაძე, 10-16.11.21, გვ.20).

ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, მწვავე კრიტიკის ობიექტი მმართველი გუნდიც იყო. მურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგია მათზე საუბრის დროსაც გამოიყენებოდა: „ორივე ტერმინი - „ნაცხროვა“ და „ქოცნახირი“ - ზუსტად არის მორგებული. აგრესიული, კბილებდაკრეჭილი, სისხლისმსმელი, ლემისმჭამელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ანუ „ნაცხროვა“, რომელმაც საქართველო სისხლით მორწყო; და ინდიფერენტული, რქიან-ჩლიქოსანი, ვეგეტარიანელი, მცოხნავი, იალაღებზე გასული „ქართული ოცნება“, ანუ „ქოცნახირი“, რომელმაც გადაჭამა და ფუნით გაავსო ქვეყანა.“ („ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის გულბაათ რცხილაძის სტატია „ნაცხროვა“ და „ქოცნახირი“, 10-16.11.21, გვ.2).

თუმცა, მთავრობის გაშუქებისას დადებითი ტონიც (7%) გამოვლინდა, რაც, დიდწილად, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებების (განსაკუთრებით ევროკავშირის სესხზე უარის თქმა) პოზიტიურ კონტექსტში გაშუქებამ განაპირობა: „ირაკლი ღარიბაშვილმა შესანიშნავად იცის რა ვერაგ ძალას უპირისპირდება, მაგრამ იგი ამაზე წავიდა... სხვა ახსნას ვერ ვპოულობ, მან ეს ნაბიჯი მხოლოდ ქვეყნის ინტერესების დასაცავად და ერის ღირსების


შესანარჩუნებლად გადადგა“ („გაწირეთ თავი და გადარჩებით!“, 21-27.07.21, გვ-6, ვალერი კვარაცხელია).

„საქართველო და მსოფლიოში“ ხშირად გვხვდება ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები. გაზეთში აქტურად ქვეყნდება პოლიტიკოსთა შეურაცხმყოფელი, უარყოფითი ხასიათის, ასევე ანტიდასავლური განწყობის კარიკატურები.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით

გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „ალია“

ყოველკვირეული გაზეთი „ალია“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა თემების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, თუმცა გაშუქდა საარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდის თითქმის ყველა აქტუალური პოლიტიკური თემა. გაშუქებული თემების 30%-ში ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება და ოპოზიციის საპროტესტო აქციები იყო განხილული. გაზეთში მიმდინარე ამბებთან ერთად იბეჭდებოდა გასულ წლებში (2003, 2006, 2007, 2012, 2016, 2018 და ა.შ), იმ პერიოდისთვის აქტუალურ თემებზე გამოქვეყნებული სტატიები და ინტერვიუები.

გასული წლების მსგავსად, გამოცემაში წელსაც გვხვდებოდა ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე, „პოლიტიკური კულუარებიდან“ გამოსულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები, რომელთა გაცნობის შემდეგ მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა ტყუილ-მართალი გაერჩია და ეჭვი არ შეეტანა ჟურნალისტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტეში.

„ალიაში“ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს კვლავაც წარმოადგენდა სოციალური ქსელის სტატუსები. მათში გამოთქმული მოსაზრებები, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით კრიტიკულ, ხანდახან არაეთიკურ გამონათქვამებს შეიცავდა.


„ალია“ ასევე აგრძელებდა პოლიტიკური შინაარსის კროსვორდების გამოქვეყნებას, სადაც სხვადასხვა პარტია ან პოლიტიკოსი იყო გამარჯვებული, ხოლო შეკითხვები, ზოგ შემთხვევაში, მურაცხმყოფელიც კი იყო.

გაზეთმა „ალიამ“ მთლიანობაში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის ჯამში 39% მმართველ გუნდსა და მის ყოფილ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს დაუთმო, ჯამში ამდენივე ადგილი ერგო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილს.

სუბიექტების გაშუქება (%)

გაზეთი "ალია"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021




სუბიექტების გაშუქების ტონი, მეტწილად, უარყოფითი იყო - უარყოფითად გაშუქდა როგორც მმართველი გუნდი, ასევე ოპოზიციური პარტიები. სტატიის ავტორები ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ და, ზოგ შემთხვევაში, არც დაუსაბუთებელ მსჯელობას და არაეთიკურ გამოთქმებს ერიდებოდნენ. მაგალითად: „თავს მხოლოდ ის მოიტყუებს, ვინც უმწიფარია. მათ გასაგონად ვამბობ, მიშა ციხეში კი არა, უსაფრთხო დასასვენებლ სახლშია... მიშა ახალაიას და ქარდავას ციხეში უნდა მოხვედრილიყო, ყველა ის წამება და უბედურება უნდა ამოევლო, რაც ათასობით ადამიანმა გამოიარა და მაშინ ვიტყვოდი, სამართალი ურმით, მაგრამ მაინც დადის მეთქი... „ბევრს არაფერს ადარ დავამატებ მხოლოდ ერთს ვიტყვი - „ოცნების“ პოლიტიკანებო და ჩინოვნიკებო, თქვენი ნაფერები ცოლები გადამალეთ, მიშა ჩამოგივიდათ!!!“ („სინამდვილეში რისთვის ჩამოვიდა სააკაშვილი?“ 4-10.10.21, გვ. 4, ნანა სულავა).

„ალიაში“ ნაკლებად გვხვდებოდა სიძულვილის ენის შემცველი ტერმინოლოგია; ფოტოებიც, ძირითადად, ნეიტრალური იყო და მასზე გამოსახული პოლიტიკოსების მკვეთარდ უარყოფითად წარმოჩენას ან დისკრიმინაციას არ ისახავდა მიზნად.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალია"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „გურია News“ (ქ. ოზურგეთი)

ყოველკვირეული გაზეთი „გურია ნიუსი“, ძირითადად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. ძალიან მცირე ადგილი ეთმობოდა ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე პროცესების განხილვას. გამოცემაში პოლიტიკურთან ერთად შუქდებოდა რეგიონისთვის აქტუალური ეკონომიკური, სოციალური თემები და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი.

„გურია ნიუსი“ საარჩევნო თემებსაც აშუქებდა - აქვეყნებდა ადგილობრივი ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებს, რაც მათ გააზრებული არჩევანის გაკეთებაში უნდა დახმარებოდა. მაგალითად, პროექტის „ინფორმირებული არჩევანი“ (ხორციელდება „აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ (USAID) და „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დაფინანსებით) ფარგლებში გამოქვეყნდა „7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს“. კითხვები მოიცავდა რეგიონში არსებულ პრობლემებს. კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ მოკლედ და მკაფიოდ გადმოეცათ მათი მოგვარების საკუთარი ხედვები და გეგმა. გარდა ამისა, გაზეთმა დაბეჭდა მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების პარტიული სიები და ინფორმაცია მაჟორიტარი კანდიდატების შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი ხშირად აქვეყნებდა დაფინანსებულ პოლიტიკურ სარეკლამო სტატიებს, რომლებიც სარედაქციო მასალებისგან მკაფიოდ იყო გამიჯნული. მათში მერობის და სხვადასხვა საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატები ადგილობრივი ამომრჩევლისთვის აქტუალურ საკითხებსა და პრობლემების მოგვარების გზებზე საუბრობდნენ.


„გურია ნიუსმა“ ყველაზე მეტად სახელისუფლებო გუნდი გააშუქა - „ქართული ოცნებას“, მთავრობასა და ადგილობრივ მთავრობას ჯამში 55% დაეთმოთ. ჯამში 18% დაუგროვდათ

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. „გურია ნიუსმა“ საკუთარ მკითხველს მისი დაკავების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

სუბიექტების გაშუქება (%)


გაზეთი "გურია news"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა სოციალური პრობლემის („წელსაც ღვთის ანაბარად ვართ!“ 1.11.21, გვ.3; „თხრილებში ჩაეყარათ, ჭიშკარს რომ მოაყარეს ლოდები! ეს არის შშმ პირის დაცინვა“ 25.10.21, გვ.5; „მოსახლეობა მოსაცდელის მოწყობას ითხოვს“, 25.10.21, გვ.11 და ა.შ.) გაშუქებას უთმობდა. სოციალურ თემებზე სტატიების მომზადებას მუნიციპალური არჩევნების წინ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. საკითხების გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის კრიტიკული კომენტარები. ჟურნალისტები თემების ერთგვარად გაშუქებით არ შემოიფარგლებოდნენ და დასმულ პრობლემებს, ხშირად, შემდგომ ნომრებშიც უბრუნდებოდნენ.

გამოცემა დაბალანსებული იყო და განსხვავებულ პოზიციებს თანაბრად წარმოაჩენდა - პოლიტიკურ თემებზე დაბეჭდილ სტატიებში ყველა მხარის პოზიცია იყო დაფიქსირებული; არ გვხვდებოდა სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. თუმცა, ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია უფრო ნეიტრალურად (საშუალოდ, 75%) და დადებითად (საშუალოდ, 20%) გაშუქდნენ, ვიდრე კრიტიკულად. უარყოფითი ტონი, ძირითადად, საკრებულოს სხდომებზე ოპონენტი პოლიტიკოსების ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებით იყო გამოწვეული და არა ჟურნალისტების მხრიდან რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულებით.




გაზეთი „ჰო და არა“ (ქ. ლანჩხუთი)

გაზეთი „ჰო და არა“ ადგილობრივ, მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურ თემებს აშუქებდა. თუმცა, გამოცემის ყურადღების მიღმა არც ცენტრალური ამბები რჩებოდა. სტატიები მომზადდა ექსპრესიული მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების თემაზე, რომელზეც მთლიანობაში გაშუქებული თემების 13% მოდის; ასევე გაშუქდა საქართველოს მიერ ევროკავშირის სესხზე უარის თემა (2 სტატია).

წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთმა მკითხველს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების პარტიული სიების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა ინტერვიუები კანდიდატებთან, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარ გეგმებსა და ხედვებზე ესაუბრათ.

„ჰო და არამ“ ყველაზე მეტი ფართობი (ჯამში 44%) მმართველ გუნდს დაუთმო, საიდანაც მხოლოდ 4% დაეთმო ადგილობრივი მთავრობის აქტივობების გაშუქებას. ყველაზე გაშუქებადი სუბიექტები ასევე იყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი (ჯამში 27%).




გაზეთმა სუბიექტები, საშუალოდ, 78% ნეიტრალურად გააშუქა. გაზეთში საკითხები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად შექდებოდა, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მხარის პოზიციები. ზოგჯერ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სტატიებიც იბეჭდებოდა: „მომავალი ადგილობრივი არჩევნებისთვის ხელისუფლებას აღარაფერი დარჩა სათქმელი, დაპირებები გაცვდა, ხალხი დაიღალა, ამჯერად ამ დაპირებების თავადაც არ სჯერა და რა ქნას ხავსს ეჭიდება“ („როცა ხელისუფლებას აღარაფერი აქვს სათქმელი“, 28.07.21, გვ.1, მაია კუკულაძე).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ჰო და არა"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი „ალიონი“ (ქ. ოზურგეთი)

ყოველკვირეული გაზეთი „ალიონი“ ძირითადად გურიის რეგიონისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალ ამბებს აშუქებდა. პოლიტიკურთან ერთად შექდებოდა ეკონომიკური და სოციალური თემები, ადგილობრივი მკითხველისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხი.

ცენტრალური ამბები გაზეთში არ ხვდებოდა, შესაბამისად არც ოქტომბერ-ნოემბრის ყველაზე აქტუალური თემა - ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება - გაშუქებულა. თუმცა, მკითხველს ამ საკითხზე გაზეთის პოზიციის გაცნობა მაინც შეეძლო: „ცხრა არჩევნების ზედიზედ წამგები ე.წ. მთავარი ოპოზიციური ძალა ცხრაჯერ ტყავის გაძრობით ემუქრება მის ცხრაჯერ დამმარცხებელ და სააკაშვილის „თაფლის დიეტაზე“ დამსმელ „ოცნებას“. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ოცნება რა შუაშია?! თხრას დაჩვეულმა მიშამ („მიშკამ“) თხარა, თხარა და რუსთავის ციხისკენ გვირაბი თვითონ გათხარა. ამოავსეს და, არა მგონია, აქეთ გამოთხრაც შეძლოს. ასე რომ, „ნაცების“, მისი მხარდამჭერებისა და მათზე აყოლილების სლოგანი „თავისუფლება მიშას“ მინიმუმ ექვს წელი არ გაქრება პოლიტიკური

ველიდან“ („თვითმმართველობის არჩევნები - სამოქალაქო ომი იმაგოს ფაზაში“, 8.11.21, გვ.3, თემურ მარშანიშვილი).

გაზეთი მკითხველს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ ინფორმაციებს თითქმის ყველა ნომერში აწვდიდა - წინასაარჩევნო და მეორე ტურამდე პერიოდში იბეჭდებოდა ინტერვიუები მერობის კანდიდატებთან, სადაც ისინი საკუთარ გეგმებსა და ხედვებს აცნობდნენ მკითხველს. გაზეთმა ასევე გამოაქვეყნა არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო სიები. არჩევნების შემდგომ გამოქვეყნდა დეტალური ინფორმაცია გამარჯვებული პარტიებისა და კანდიდატების, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ასევე მეორე ტურში გადასული კანდიდატების შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი ხშირად აქვეყნებდა სარედაქციო მასალებისგან მკაფიოდ გამიჯნულ, დაფინანსებულ პოლიტიკურ რეკლამებსაც, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატები თავიანთ ხედვებს აცნობდნენ მკითხველს.


პროექტის „ინფორმირებული არჩევანი“ (ხორციელდება „აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ (USAID) და „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დაფინანსებით) ფარგლებში გამოქვეყნდა „7 კითხვა ოზურგეთის მერობის კანდიდატს“ და „7 კითხვა საკრებულოს წევრობის კანდიდატს“. კითხვები მოიცავდა რეგიონში არსებულ პრობლემებს. კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ მოკლედ და მკაფიოდ გადმოეცათ მათი მოგვარების საკუთარი ხედვები და გეგმა.

„ალიონმა“ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (26%), ოზურგეთის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატები (კონსტანტინე შარაშენიძე და გოჩა ძიმისტარიშვილი) და „გახარია საქართველოსთვის“ (18-18%) გააშუქა. ჯამში 22% დაუგროვდათ მთავრობასა და ადგილობრივ მთავრობას. სხვა პოლიტიკური სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი 2%-ზე მეტი არ იყო.

სუბიექტების გაშუქება (%)

გაზეთი "ალიონი"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021




ჟურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად და პროფესიული სტანდარტების დაცვით აშუქებდნენ. თუმცა, მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც სუბიექტები უფრო ნეიტრალურად (საშუალოდ, 61%) და დადებითად (საშუალოდ, 34%) გაშუქდნენ, ვიდრე კრიტიკულად. ეს განსაკუთრებულად პრობლემური წინასაარჩევნოდაა, რადგან ჟურნალისტების კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს თავის დადებითად წარმოჩენის შესაძლებლობა ეძლევათ.

უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაუგროვდა. მისთვის დათმობილი ფართობის 7%-დან 27% ნეგატიურ გაშუქებაზე მოდიოდა. პოლიტიკური პარტია გაზეთთან არ თანამშრომლობდა: „ტყუილების სააშკარაოზე გამოტანის გამო გამიხსნა მეორე ფრონტი ფეისბუქში ბატონმა ბესო ქათამაძემ, ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა, რომელსაც როგორც „მიმას ხელის ბიჭს“ კარგად ასდის ხელზე პროვოკაციული ხრიკები... ერთი სიტყვით, ნამეტანი გაკუჭებული ჩანან ხელისუფლების დაბრუნებისთვის 2012 წლიდან საპირველკაცო ტახტზე მობღაუჭე პოლიტიკური ჯამბაზის ასისტენტები“ („ოზურგეთელი ნაციონალების ლიდერმა „ალიონს“ თანამშრომლობაზე მორიგი უარი სტკიცა“, 20.09.21, გვ.3, თემურ მარშანიშვილი).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალიონი"
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021




გაზეთი „ჩემი ხარაგაული“

ყოველკვირეული გაზეთი „ჩემი ხარაგაული“ მხოლოდ ადგილობრივ ახალ ამბებს და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურ თემებს (სოციალური, ინფრასტრუქტურული პრობლემები, ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტები) აშუქებდა. ცენტრალური ახალი ამბები გაზეთის ყურადღების არეალში არ ექცეოდა, შესაბამისად არც მონიტორინგის ბოლო პერიოდში თითქმის ყველა მედიასაშუალებისთვის აქტუალური თემა - ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება - გაშუქებულა.

გაზეთი დიდი ადგილს უთმობდა საარჩევნო საკითხების გაშუქებას. პროექტის „გამჭვირვალე არჩევნები და მედია“ (ხორციელდება „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით) ფარგლებში გამოქვეყნდა სტატია, სადაც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საარჩევნო გარემოს აფასებდა, ასევე გამოქვეყნდა ინტერვიუები ხარაგაულის მერობის კანდიდატებთან, სადაც ისინი მოსახლეობისთვის პრიორიტეტულ თემებზე, საკუთარ ხედვებსა და პრობლემების მოგვარების გზებზე საუბრობდნენ. არჩევნების შემდგომ გაზეთმა მკითხველს დეტალურად გააცნო გამარჯვებული კანდიდატები და საკრებულოების ახალი შემადგენლობა.

ვინაიდან, გაზეთი აქცენტს ადგილობრივ ახალ ამბებზე აკეთებდა, ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტი ადგილობრივი მთავრობა იყო. მას ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ჯამში 32% დაუგროვდა. საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (22%) გაშუქდა.

სუბიექტების გაშუქება (%)
გაზეთი "ჩემი ხარაგაული"
 5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021



გაზეთი მთლიანობაში დაბალანსებულია. მონიტორინგის დროს რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ სუბიექტური, მიკერძოებული დამოკიდებულების შემთხვევები არ გამოვლენილა. თუმცა, ჟურნალისტების მხრიდან, განსაკუთრებით მმართველი გუნდის მიმართ, კრიტიკული კითხვების ნაკლებობის გამო მონიტორინგის სუბიექტები უფრო ნეიტრალურად (საშუალოდ, 77%) და დადებითად (საშუალოდ, 17%) წარმოჩინდნენ, ვიდრე უარყოფითად.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ჩემი ხარაგაული"

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021

